საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1022

19/12/2018

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადიგენი-გოდერძის 33კმ გაზსადენის მშენებლობისა და ქსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.3 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადიგენი-გოდერძის 33კმ გაზსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #56; 14.12.2018 წ. (ადიგენის და ხულოს მუნიციპალიტეტები);
2. შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #56; 14.12.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას““;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხულოსა და ადიგენის მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი